ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2307112

ნომერი: AR1355298

თარიღი : 09.11.2015

გაცემის თარიღი : 20.11.2015

გაცნობის თარიღი : 30.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სადმელი , N 45 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელდარ ნეფარიძე პ/ნ 01001012500
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 4 ბ. 115

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 29.05.2015 წ. № 1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ელდარ ნეფარიძემ, ლევან ნეფარიძემ და ვასილ მამაცაშვილმა 09.11.2015 წ. №AR1355298 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩის მიმდებარედ , (ნაკვეთი N17) 01.12.03.015.033 (ფართობი: 432 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმის (საკადასტრო კოდი #01.12.03.015.033, ფართობი 432 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882015455215, მომზადების თარიღი 18/08/2015წ.) საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 29.05.2015 წ. № 1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით (საკადასტრო კოდი №01.12.03.015.033, ფართობი 432 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №882015455215, მომზადების თარიღი 18.08.2015წ.);

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტად დაემატოს: ოქმი №ო–441 (12.11.15.)
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.05.2015 წ. №1893803 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.